15-12-2020

ძვირფასო სტუდენტებო,

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის (I) სემესტრის სასწავლო აქტივობების აღდგენა შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის.

**შემოდგომის სემესტრის სასწავლო აქტივობების, მათ შორის შუასემესტრული გამოცდებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების აღდგენა მოხდება:**

- მე-18 კვირაში, 2021 წლის **8-დან 13 თებერვლის** ჩათვლით.

***ცნობისათვის:*** *შუასემესტრული გამოცდების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო შუასემესტრული გამოცდების მე-11 კვირაში (7-13 დეკემბერი) ჩაბარება.*

**ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ:**

- სასწავლო მეცადინეობები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის ჩატარდება 2021 წლის **6 თებერვლის** ჩათვლით.
- დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდება მე-17 – 20 კვირებში, **1-დან 27 თებერვლის** ჩათვლით, სასწავლო კურსის შესაბამის დასკვნით გამოცდამდე.
- დასკვნითი გამოცდები ჩატარდება 2021 წლის **15-დან 27 თებერვლის** ჩათვლით.
- დამატებითი გამოცდები ჩატარდება 2021 წლის **1-დან 6 მარტის** ჩათვლით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმატებებს გისურვებთ!